1961/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 4 (127) 10 თებერვალი 1961 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

56. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის უკანასკნელ სტადიამდე დასამთავრებლად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მიერ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის თაობაზე შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

57. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. გრიშმანოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

58. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

59. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. დიგაის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

60. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ამხ. კ. ს. ზავრიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (მოტ) კონვენციების რატიფიკაციის შესახებ.

62. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

63. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პ. ა. აბრასიმოვის გათავისუფლების შესახებ.

64. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

65. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. ე. ზარიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. დიუმონმა

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

67. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ლ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

68. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

69. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ფარქოსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

70. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. დ. ცაგურიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

### განყოფილება მეორე

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. მ. მარუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის უკანასკნელ სტადიამდე დასამთავრებლად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მიერ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის თაობაზე შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის უკანასკნელ სტადიამდე დასამთავრებლად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის სსრ კავშირის მიერ ეკონომიური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1960 წლის 27 აგვისტოს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 ამხ. ი. ა. გრიშმანოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ივანე ალექსანდრეს ძე გრიშმანოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ალექსის ძე კუჩერენკო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 26 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 ამხ. ნ. ა. დიგაის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დიგაი სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ამხ. კ. ს. ზავრიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და სამშენებლო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი ამხ. კირიაკ სამსონის ძე ზავრიევი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (მოტ) კონვენციების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (მოტ) კონვენციები:

1. კონვენცია № 45 ყოველგვარი სახეობის შახტებში მიწისქვეშა სამუშაოებზე ქალთა შრომის გამოყენების შესახებ,
2. კონვენცია № 95 ხელფასის დაცვის შესახებ,
3. კონვენცია № 111 შრომისა და საქმიანობის დარგში დისკრიმინაციის შესახებ,
4. კონვენცია № 112 მეთევზეთა სამუშაოზე მიღებისათვის მინიმალური ასაკის შესახებ

**რატიფიცირებულ იქნას.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 31 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 62 პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ბ. არისტოვის სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ავერკი ბორისის ძე არისტოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პ. ა. აბრასიმოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს პეტრე ანდრიას ძე აბრასიმოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. რაჰმანსა კასუმ ყზი ალიევას — ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მარნეულის რაიონი.
2. გოჰარ ისმაილ ყზი ვალიევას — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ახლიმამუდლო.
3. ურუ აჰმედ ყზი გაჯიევას — სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მარნეულის რაიონი.
4. ლუსია მიხეილის ასულ გერგედავას — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.
5. ნადია ანდრიას ასულ გურგენაძეს — დიასახლისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელი სუფსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნაზიმე ხალიტის ასულ **ჯაყელს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი კვაშტა.

7. ხოშნეთ მევლუდის ასულ **კამადაძეს** — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი.

8. ნატალია როსების ასულ **კუსრაევას** — კოლმეურნეს, გორის რაიონის სოფელი შავშვები.

9. ბულგეის ჰუსეინ ყზი **მამედოვას** — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ყიზილ აჯლო.

10. ნურჯახან მამედ ყზი **მამედოვა-ნაგდალიევას** — დიასახლისს, მარნეულის რაიონის დაბა მარნეული.

11. ნათელა ფილიპეს ასულ **როგავას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

12. ნორა გერასიმეს ასულ **საჯაიას** — კოლხეთის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, წალენჯიხის რაიონი.

13. მარგო ნიჩვის ასულ **ხუფენიას** — წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზუგდიდის რაიონი.

14. ვერა ვასილის ასულ **შიტიკს** — ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ზუგდიდის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.
მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 1 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 65 ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგ კლიმენტ ეფრემის ძე **ვოროშილოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.
მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 66 მწერალ ნ. ე. ზარიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი ნაირი ეგიაზარის ძე **ზარიანი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.
მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 4 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. დიუმონმა

ა/წ 25 იანვარს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ლუქსემბურგის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კამილ დიუმონი, რომელმაც გადასცა თავის რწმუნების სიგელები სსრ კავშირში ლუქსემბურგის მისიის საელჩოდ გარდაქმნასთან დაკავშირებით.

ლ. ი. ბრეჟნევმა და კ. დიუმონმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კ. დიუმონს. საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სობოლევი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 67 ამხ. ს. ლ. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნას ამხ. სერაფიონ ლუარსაბის ძე ჭელიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 1 თებერვალი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 68 ამხ. ა. ე. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. არონ ერმალოს ძე ტაკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 2 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 69 ამხ. ვ. ვ. ფარქოსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ

დაშვებულ იქნას ამხ. ვალერიან ვლასის ძე ფარქოსაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 1 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 70 ამხ. თ. დ. ცაგურიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლებულ იქნას ამხ. თამარ დიმიტრის ასული ცაგურია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 2 თებერვალი.

# განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 71 გ. მ. მარუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საქმეში დამსახურების აღსანიშნავად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. გიორგი მინას ძე მარუაშვილი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული [illegible]

## 72 საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის** საპატიო წოდება:

1. მიხეილ პლატონის ძე **ალაშვილს** — წყალტუბოს რაიონული პოლიკლინიკის ექიმ-პედიატრს.

2. ალექსანდრე ზაქარიას ძე **ბეზარაშვილს** — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის ექიმს.

3. გიორგი ერასტის ძე **ბოლქვაძეს** — გორის რაიონული სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მთავარ ექიმს.

4. პლატონ სევერიანის ძე **გაფრინდაშვილს** — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს ექსპერტიზის ნაწილში.

5. გიორგი ვასილის ძე **გელდიაშვილს** — ქალ. გორის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს.

6. ვლადიმერ ივანეს ძე **გოგებაშვილს** — ქალ. თბილისის მე-17 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

7. სევერიან დომენტის ძე **დეკანოსიძეს** — ზესტაფონის რაიონის სამშობიარო სახლის ექიმ-გინეკოლოგს.

8. ვახტანგ ოსმანის ძე **დიასამიძეს** — ქალ. ბათუმის საბავშვო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

9. მარიამ გიორგის ასულ **ეჯიბიას** — ქალ. თბილისის მე-12 ქალთა კონსულტაციის გამგეს.

10. რაფიელ გიორგის ძე **ზაალიშვილს** — თელავის რაიონის და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

11. ვიქტორ ფილიპეს ძე **თავდუმაძეს** — გორის რაიონის სოფელ ტირძნისის საუბნო ამბულატორიის გამგეს.

12. დანიელ კონსტანტინეს ძე **კვახაძეს** — ამბროლაურის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

13. აპოლონ გიორგის ძე **კილასონიას** — ფოთის ნავსადგურის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

14. ირინე ლეონიდეს ასულ **კისტიაკოვსკაიას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული-კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

15. რაჟდენ პავლეს ძე **კოპალეიშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს.

16. ვარლამ ვლადიმერის ძე **კუბლაშვილს** — თერჯოლის რაიონის აჯამეთის ქალცედონის წარმოების ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის გამგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. იოსებ იოსების ძე **კუპრაშვილს** — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების გამგეს.

18. დიმიტრი ალექსანდრეს ძე **მაჩაბელს** — ხაშურის რაიონის ვენერიული დისპანსერის მთავარ ექიმს.

19. თამარ გიორგის ასულ **მგელაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რენტგენის კაბინეტის გამგეს.

20. ვლადიმერ ბესარიონის ძე **მდივანს** — ქალ. ქუთაისის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის პარაზიტოლოგიური განყოფილების გამგეს.

21. ანდრონიკ ჯანგირის ძე **მელიქ-შახნაზაროვს** — ქალ. თბილისის სანიტარული ეპიდემიური სადგურის ყოფილ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს, ამჟამად პენსიონერს.

22. ვალერიან იასონის ძე **მეუნარგიას** — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-ნევროპათოლოგს.

23. გრიგოლ ონისიმეს ძე **მეძმარიაშვილს** — თბილისის საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა საექიმო ფიზკულტურული დისპანსერის მთავარ ექიმს.

24. თამარ ონისიმეს ასულ **მკერვალიშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგეს.

25. ნიკოლოზ იაგორის ძე **მუჩაიძეს** — ქალ. თბილისის მე-2 ვენეროლოგიური დისპანსერის ექიმ-ორდინატორს.

26. პავლე ლუკას ძე **ობოლაძეს** — გალის რაიონის სოფ. ნაბახევის საექიმო უბნის გამგეს.

27. ჰაიკ გერასიმეს ძე **ოსიპოვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის ქალ. თბილისის საგზაო სანიტარული ეპიდემიური სადგურის კომუნალური სანიტარიის ექიმს.

28. მიხეილ ივანეს ძე **ოძელაშვილს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ მცხეთის ამბულატორიის ექიმს.

29. გრიგოლ პეტრეს ძე **პაპასკუას** — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების ტერიტორიალური სამმართველოს დირექტორს.

30. სიმონ იოსების ძე **პეტაშვილს** — ადიგენის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს სამკურნალო ნაწილში.

31. ვასილ იოსების ძე **რუხაძეს** — ლანჩხუთის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს სამკურნალო ნაწილში.

32. მოსე არონის ძე **სეფიაშვილს** — თბილისის საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სექტორის უფროსს.

33. ალექსანდრა პართენის ასულ **სვანიძეს** — ამბროლაურის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს.

34. ნინო დანიელის ასულ **სულავას** — ქალ. თბილისის მე-14 პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. მიხეილ გიორგის ძე **ტარსაიძეს** — ქალ. ჭიათურის საავადმყოფოს თვალის განყოფილების გამგეს.

36. ვალერიან მიხეილის ძე **ქავჟარაძეს** — ქალ. ფოთის ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარ ექიმს.

37. ანა ივანეს ასულ **ქიტიაშვილ-ფირცხალავას** — ქალ. თბილისის სადეზინფექციო სადგურის ექიმ-დეზინფექციონისტს.

38. გიორგი ილარიონის ძე **ღონღაძეს** — საჩხერის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

39. გიორგი ზაქარიას ძე **შალაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საუბნო საავადმყოფოს ექიმ-სტომატოლოგს.

40. დიომიდე კარპეზის ძე **შანიძეს** — სამტრედიის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგს.

41. დავით იაკობის ძე **შვანგირაძეს** — ორჯონიკიძის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.

42. მიხეილ გაბრიელის ძე **ჩალიძეს** — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის სანიტარული განათლების განყოფილების ყოფილ გამგეს, ამჟამად პენსიონერს.

43. ირაკლი იასონის ძე **ჩიგოგიძეს** — ყვარლის რაიონის ტუბერკულოზის კაბინეტის გამგეს.

44. დავით პროკოფის ძე **ჩიქვინიძეს** — მაიაკოვსკის რაიონის პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.

45. დავით სერგოს ძე **ჩიტაძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის პოლიკლინიკის ექიმ-თერაპევტს.

46. ვარვარა გიორგის ასულ **ცინცაძეს** — ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის საექიმო უბნის გამგეს.

47. ანდრია კონსტანტინეს ძე **ცხადაძეს** — ქუთაისის ფსიქიატრული კოლონიის მთავარ ექიმს.

48. გიორგი მიხეილის ძე **ძიძიგურს** — ქალ. თბილისის მე-3 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

49. დავით სიმონის ძე **ჭიპაშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მისაღები განყოფილების გამგეს.

50. გრიგოლ პარმენის ძე **ჭირაქაძეს** — ქალ. თბილისის მე-4 ვენერიული დისპანსერის მთავარ ექიმს.

51. ამბროსი სოლომონის ძე **ხირსელს** — ქალ. გორის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს.

52. გიორგი იოსების ძე **ჯალიაშვილს** — ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 2 თებერვალი.